

ჯანსუდ კორძაიას პოეზია

ჯანსუდ კორძაიამ ქართული პოეზია „დაამბიმა“ ბევრი ისეთი ფილოსოფიური პრობლემით, რომლებიც მანამდე თითქმის არ დასმულა ჩვენში. ამით, მან, შეიძლება თამამად ითქვას, ახალ სიმაღლეზე აიყვანა ეროვნული ფილოსოფიური ლირიკა, გულისა და გრძნობის, ფიქრისა და ოცნების ქურაში გამოატარა გონი თუ ლოგოსი, განსჯა თუ საზრისი, ყოფიერება თუ გაუცხოება და ყოველივე ეს გაიაზრა, როგორც თვითონ ამბობს, „ზღაპრის ლოგიკით“. სწორედ ამ „ზღაპრის ლოგიკამ“ გახადა შესაძლებელი ის, რომ უამრავი ახალი მხატვრული სახე, შედარება, მეტაფორა, ეპითეტი გაჩენილიყო მის პოეზიაში. მკითხველი რომ დავარწმუნოთ ნათქვამის ჭეშმარიტებაში, რამდენიმე მაგალითს გამოვყოფ საგანგებოდ:

„შენ მიაბიჯებ – უთვალავ მზეში,
ულურჯეს მწუხერში, უთეთრეს თოვლში,
შენი ხილვებით სავსე სივრცეში
და შენი ლტოლვით ფრთაასხმულ დროში“
(„გერ დამიმონებ“)

ა6

„ანთია გრემი ქედანის ფერში,
მწუხერის ფერს ერთვის
ნანგრევის ფერი“
(„გრემი“)

ჯანსუდ კორძაია ის პოეტია, რომელსაც ხელეწიფება თვით ურთულესი ფილოსოფიური საკითხებიც კი არაჩვეულებრივად მარტივად, სადად და საჩინო მხატვრული ოსტატობით გაგვისნას.

ურთულესი საკითხები-მეთქი იმიტომ ვთქვი, რომ მის პოეზიაში დასმულია ისეთი მარადიული ფილოსოფიური პრობლემები, როგორიცაა: ვინ ვარ მე, როგორც ადამიანი, რაში მდგომარეობს ადამიანური სიცოცხლის საზრისი, არის თუ არა იგი შემეცნებადი, არსებობს თუ არა ღმერთი, რა არის გონი, განსჯა, გონება, სული, ოცნება, ფიქრი. საითკენ მიდის კაცობრიობა, ანუ როგორი იქნება მისი ხვალინდელი დღე, რა არის სიყვარული, რაზე ფიქრობდა ჰამლეტი, მართალი იყო თუ არა ეკლესიასტე, რა არის, ვისთვის არსებობს და ვისთვის არ არსებობს დრო და სივრცე: რატომ დაკარგა სამყარომ გონი და შევძლებთ თუ არა გონდაკარგული სამყაროს წვდომას. რატომ აწამებს ადამიანებს გაქრობის შიში და რითი უნდა გადალახოს იგი?

ეს ჩამოთვლა უსასრულოდ შეიძლება გაგრძელდეს. ეს ხომ სწორედ ის საკითხებია, რომლებიც ჭეშმარიტ ფილოსოფოსს უნდა აწვალებდეს, აკი ამბობდა კანტი: ფილოსოფოსი ის კი არ არის, ვინც ფილოსოფია იცის, არამედ ის, ვისაც სამყაროს არსში ჩაწვდომა სურსო. თვითონ პოეტის მიხედვით, ფილოსოფოსს უნდა ჰქონდეს დაუოკებელი სურვილი „სამყაროს შრეთა ასწიოს ფარდა“, იმავდროულად „აწამებდეს გაქრობის შიში“:

„მაინც გაწამებს გაქრობის შიში
არარაობის პირდაპირ დგახარ,
გაწამებს პირველ და ბოლო ფიქრში
შეუცნობელი: ვინ ხარ და რა ხარ?“
(„გერ დამიმონებ“)

დიახ, შეუცნობელია ადამიანისათვის: ვინ არის ან რა არის იგი, მაგრამ ამის გამო ამ კითხვისადმი ინტერესი ჯერაც არ განელებია და არც ოდესმე გაუნელდება (სანამ იგი შემმეცნებელი არსება იქნება). ეს ის მარადიული კითხვაა, ჯერ კიდევ სოკრატედან რომ იღებს სათავეს („შეიცან თავი შენი“) და დღემდე მოდის. ჯანსულ კორძაიაც არ დალატობს ტრადიციას და მასთანაც ადამიანის შემმეცნება დგას როგორც პრობლემა, როგორც კითხვა:

„არც არაფერი ვიცი,
არც იმედი მაქვს რამის,
გერ გამოვტაცე დრო-ჟამს
საოცნებარი წამი
და შეუწყვეტელ ფიქრში
მაწამებს სულის გმინვა
ვით დაუმცხალი ექო,
ვინ ვარ, ვინ ვარ და ვინ ვარ?“
(„წარწერა კანტის „წმინდა
გონების კრიტიკაზე“)

ეს კითხვა ლაიტმოტივად მიჰყვება მთელ მის პოეზიას. საკუთარი „მე“-ს, საკუთარი თავის შემმეცნების პრობლემების მხატვრულ გამოსახვას დიდი ადგილი ეთმობა მის ლექსებში. პირველი რაც ადამიანმა იცის თავის შესახებ, ის არის, რომ იგი ისეთი არსებაა, რომელსაც არ ასვენებს თავისი სიცოცხლის საზრისის, საკუთარი „ყოფნის ფესვების“ შეცნობის სურვილი, ანუ სამყაროს უღრმეს შრეებში შეღწევის სურვილი. და მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანი ამ სურვილს აღისრულებს, როცა მისი აზრი და განსჯა, ფიქრი და ოცნება სინამდვილის დასაბამს, ანუ სამყაროსეულ პირველმიზეზს მიაგნებს, ადამიანიც მიწვდება თავის თავს, ამოიცნობს და გაიგებს საკუთარ „მე“-ს.

ეს ძიება დაგვირგვინდება იმით, რომ პოეტი ჩაწვდება სამყაროს არსებას, დაინახავს, რომ ამ სამყაროს დვთიური განგებით ქმნის ადამიანის აზრი, ფიქრი, ოცნება, გასჯა. გვხიბლავს პოეტისეული ქებათა-ქება აზრისა:

„შენ ქმნი სამყაროს! დვთიურ განგებით,
აზრო, და ნათლის სვეტად ენთები,
და ელვარებენ შენი ტაძრები,
როგორც სამყაროს ევერესტები“.
(„მე ჩემს თავს ვეძებ . . .“)

ტრადიციული თემებიდან ჯ. კორძაიას შემოქმედებაში პირველ რიგში შემოდის სამშობლოს სიყვარულის თემა.

საოცრად ამაღლებულია ჯ. კორძაიას შემოქმედებაში ქართული ენის მოტივი. მისი დვთიური წარმომავლობის ხოტბა მართლაც რომ გალობასავით ჩაესმის მკითხველს. პოეტი გვეუბნება, რომ პირველად იყო სიტყვა და ეს სიტყვა დვთის სიტყვა იყო („პირველთგან იყო სიტყუაი და სიტყუაი იგი იყო დმრთისა თანა, და

დმერთი იყო სიტყუაი იგი”, იოანე I.I. როგორც ამ პირველი სიტყვით იშვა მთელი სამყარო, ისე ქართული სიტყვიდან იშვა სრულიად საქართველო.

დიახ! სწორედ ამ დვოთიური ქართული სიტყვიდან იშვა საქართველო, რადგან ქართული ენის წიაღში არის დავანებული ქართული სულის, ქართული აზრის, ქართული ფიქრის საიდუმლო. ასეთია ქართული ენა, როგორც „გულის, გრძნობის და ლოგოსის ტრიადა”. სწორედ მან – ქართულმა სიტყვამ შეკრა ქართულ მიწად ეს ქვეყანა ფრიადი. „კითხულობ ამ სტრიქონებს და გაგონდება გიორგი მერჩულეს სიტყვები „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებიდან”, სიტყვები, რომლებიც ქართული ენის უდიდეს როლზე მიუთითებს ქართველი ერის ჩამოყალიბების საქმეში: „ქართლად ფრიადი ქვეყანაი აღირიცხების, რომელსა შინა ქართულითა ენითა უამი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების”. თავისებურ, შეიძლება ითქვას ერთგვარ ფილოსოფიურ გააზრებას იძენს ჯ. კორძაიას პოეზიაში სიყვარულის ტრადიციული თემა:

„მიყვარხარ! ახლა ეს სიყვარული
სახეა მთელი ჩემი არსების.
დვრიტაა ჩემი, დვრიტა ფარული
სამყაროს აღქმის და გააზრების”. . .
(“მიყვარხარ!”)

სიყვარულის მაღალი გრძნობა, სატრფოზე მუდმივი ფიქრი და გრძნობა, მისი მუდმივი ნატვრა პოეტს გააზრებული აქვს, როგორც თავისი არსებობის წესი. ამიტომაც არ ჟდერს ალოგიკურად ეს მშვენიერი სტრიქონები:

„ქლავ უშენოდ ვარ, უშენოდ! მაგრამ
სწორედ ამიტომ არ ვარ უშენოდ”.
(ვარიაციები შენზე ფიქრებიდან)

ასეთია – აზრით, სიბრძნით, სიღრმით, სიმართლითა და სინათლით გამორჩეული ეს მშვენიერი ლექსთა კრებული. ამ წიგნის ანალიზი გვინდა დავასრულოთ პოეტისადმი სიტყვებით, რომლებიც მან დიდი გალაკტიონის მისამართით თქვა: „მან პოეტური არდარიდებით სამყაროს შრეთა ასწია ფარდა”. გვინდა ასე დავამთავროთ იმიტომ, რომ ეს სიტყვები კარგად ესადაგება თვით ჯანსუდ კორძაიას, რამეთუ მან, პოეტმა – ფილოსოფოსმა სწორედ რომ პოეტური არდარიდებით სამყაროს უღრმეს შრეებში ჩაგვახედა, ადამიანის სულის იდუმალ მოძრაობას ახადა ფარდა, რაც ჭეშმარიტ პოეტებს ხელეწიფებათ მხოლოდ.

რეგაზ ბალანჩივაძე

საპუთარი თავის მიზნება

ყოველი თანამედროვე ქართველი პოეტი გარემოცულია ქართული პოეზიის ატმოსფეროთი. ზედმეტი მეჩვინება სიტყვის გაგრძელება ამ ატმოსფეროს ცხოველმყოფელ ძალაზე, რადგანაც მკითხველისთვისაც ისედაც არის ცნობილი, რა სიღრემე, რა აზროვნება, რა მასშტაბები, რაოდენ მაღალი გადასახედი, რაგვარი მრავალფეროვნება და შინაარსი იგულისხმება ქართულ პოეზიაში. ჩვენ უნიკალური ფენომენის პატრონები ვართ. სიღრმით, სიმდიდრით და მოცულიბით ქართული პოეზია მართლა ჰგავს წყნარ ოკეანეს და იგი არის ატმოსფერო, რომელიც გარემოიცავს ჩვენს არსებობას. ზოგი გაუცნობიერებლად უწევს მას ანგარიშს, ზოგსაც გაცნობიერებული აქვს ქართული პოეტური სიტყვის მონაპოვარი. თანამედროვე ქართული პოეზია ღირსეული მემკვიდრეა ქართული კლასიკური პოეზიისა და კლასიკასთან ერთად დღეს იგი ქმნის იმ ცხოველმყოფელ ატმოსფეროს, რომლითაც იკვებება და რასაც ანგარიშს უწევს ნებით თუ უნებლიერ თანამედროვე პოეტი.

გაცნობიერებული დამოკიდებულების კვალი ატყვია ჯანსუდ კორძაიას ლექსებს. ქართულ პოეზიაში მოსვლა მან მხოლოდ დიდი ხნის ყოყნამის და აწონ-დაწონის შემდეგ დაგაწყვიტა. თავისთავად იგულისხმება რიდი და მოწიწება ქართული პოეტური კულტურის წინაშე. რიდსა და მოწიწებაში თავისთავად გამოსჭვიოდა ღირსეული პიროვნების პოზიცია. თუ შიში და ეჭვი გარკვეული დოზით არ ახლავს პოეტის შემოქმედებას. ის შიში და ეჭვი, რომელიც მარადიული უკმარისობის გრძნობით აღავსებს აღამიანს, ღირსეული რამ არც შეიქმნება.

ჯანსუდ კორძაიას ლექსებში ნათლად გამოკრთის თანამედროვე ქართული პოეტური კულტურისადმი განსაკუთრებული მოწიწება. ავტორი არის ლვიძლი შვილი დროისა, ვინც სწავლობს და ღრმად იცის პოეტური დონე, სიტყვის მონაპოვარი, გარემოცულია მისით და ამოდის ამ პოეტური წიაღიდან თავისთავადი, საკუთარი ხმისა და სათქმელის პატრონი, ამ წიარით არის დავალებული ჯანსუდ კორძაიას ლექსების დახვეწილობა, ფრაზის სიზუსტე და ლოგიკურობა.

ჯანსუდ კორძაია ფილოსოფოსია. შესაძლოა ამითაც იყოს გამოწვეული, რომ მის ლექსებში ბევრი კითხვაა დასმული. კითხვა კი ამშვენებს უზარმაზარ სამყაროში ჩაკარგულ ადამიანის პოეტურ სულს.

ჯ. კორძაია შემდგომ აღრმავებს და ავითარებს ქართული ფილოსოფიური ლირიკის მდიდარ ტრადიციებს, მისი პოეზიის არსებითი განწყობილება გამოხატულია ლექსში “ლოცვა”, რომელშიც პოეტი ასე მიმართავს ღმერთს:

“სხვა, ვინ იტყვის, ლოგოსს, შენს სათქმელს, სხვამ ვინ განსაჯოს უამნი და დრონი, გაიმეორე, ღმერთო, შესაქმე, გაიმეორე, ღმერთო შესაქმე, და დაბრუნე სამყაროს გონი.”

“ლოცვა” წერტილს უსვამს სხვა ლექსებში მოქცეული ტკივილების, შფოთვისა და დრტვინვის მდინარეს. ხოლო ის ლექსები მანამ გვარწმუნებენ, როგორ არის დამსხვრეული ადამიანის სამყარო, დაკარგულია სწორი ორიენტირი, აზრის სინათლე, ღვთაებრივი სამართლიანობის განცდა, მარადიული კონტაქტი გამჩნოა; დაგვანახვებს, რამოდენა ტკივილია სამშობლო და რწმუნდები, რომ ამაოების მტანჯველი კითხვები ჯანსუდ კორძაიასთვისაც ისევე სისხლხორცეულია, როგორც ყველა ჭეშმარიტი პოეტისათვის, რომ ეს მარად ძველი და მარად ახალი სატანჯველი არის მისი სულის გამოცდაც და მისი ღირსების მაკონტროლებელიც.

ამქვეყნად ადამიანის არსებობის საზრისის ძიება აწამებდა პოეტსაც და ფილოსოფოსსაც. განსაკუთრებული მნიშვნელობა არ უნდა ჰქონდეს, ჩემი

აზრით, იმას, თუ რომელ სამყაროდან რომელ სამყაროში მოვიდა ჯანსუდ კორძაია – ფილოსოფიის სამყაროდან პოეზიაში თუ პოეტური სამყაროდან – ფილოსოფიაში. ფაქტია რომ მის ლექსებში აშკარად შეიმჩნევა ჭიდილი სიტყვასთან, რათა ყველა კითხვები პოეტურ აზროვნებაში მოაქციოს, აირიდოს განსჯისა და მსჯელობის საფრთხეს. ადამიანის არსებობის საზრისის ძიება კი აშკარად შეიცავს ცდუნებას და საფრთხეს განსჯისას, ჯანსუდ კორძაიას შველის პოეტური სიტყვის გრძნობა, ლოგიკური წერტილის დასმის უნარი, რათა შედეგი სასურველი იყოს. ფილოსოფიის ღრმა ცოდნა კი ამკვიდრებს მის პოეტურ თვალსაწიერს, კვებავს ფანტაზიას.

ამ გზით წარმოგვიდგება მისი პოეტური აზროვნება, ნასაზრდოები თანამედროვე ქართული პოეზიის საუკეთესო მონაპოვარით, გაჯერებული დროის მიერ აღჩენილი ახალი კითხვებით, რომლებიც მეოცე საუკუნის დასასრულმა თავისებურად გაამძაფრა.

“სად არის ზღვარი? სად? სად? ლტოლვაში? ფიქრში? სიზმარში? სულის ტკივილში? სულის ფრთებში და სულის ქროლვაში? სად? სიყვარულში და სიძულვილში? სად არის ზღვარი? სად? სად? მიზანში? ზღვარი – სურვილში? ზღვარი – ვნებაში? შემართებაში? გახსნილ ცისკარში? დაცემაში და ამაღლებაში?”

ლექსებში, სადაც ადამიანის ქვეუნიური არსებობის საზრისს უტრიალებს ჯანსუდ კორძაიას ფიქრი, განცდილია სასოწარკვეთაც გაცრუებული იმედის გამო, არსებობის არასრულფასოვნებაც, დაცემისა და ამაღლების მონაცვლეობაც, მაგრამ არ არის დაკარგული რწმენა ადამიანის შესაძლებლობისადმი, ცოცხლობს იმედი, მძლავრობს ადამიანში დაფლული რეალური ენერგიის დანახვის უნარი. პოეტს წამს, რომ ადამიანი უმნიშვნელო, მდაბალ არსებად არ შეუქმნია დმერთს, რომ მასში სწორედ დვთაებრივი ნიშატი დვივის, იგი შეიცნობს შეუცნობელს, ეზიარება სამყაროს საიდუმლოებებს, რომ სამყარო ადამიანთან ერთად გაჩნდა და ამ მოვლენაში განსაკუთრებული აზრი დევს. არ იღებს ეს რწმენა დასაბამს ზედაპირული ხედვიდან. იცის ჯანსუდ კორძაიამ ამაოების ფილოსოფია, იგი შემსწრება ადამიანის უმწეობის, დაცემის... მაგრამ უჩვეულო ამაღლებაც შეუძლია ადამიანს, როცა ახდენს “დვთაებრივი ნიშატის” ამზევებას, ჭეშმარიტი ადამიანური თვისებების დემონსტრირებას. აი, ასეთი დვთაებრივი ნიშატის გამომსხივებელი ადამიანის რწმენა ცოცხლობს ჯანსუდ კორძაიას ლექსებში, გადადის იგი ლექსიდან ლექსში, მართავს რიტმს და ზოგჯერ გეჩვენებათ, რომ მთელი კრებული ერთი მთლიანი ლექსია, ერთი გრძელი მონოლოგი, რომელიც დაუნაწევრებლის გამოსახვას ესწრაფვის. იცვლება სალექსო ზომებიც, თემაც, გამწყობილებაც, მაგრამ მონოლოგის, მთლიანი დაუნაწევრებელი მონოლოგის განცდა არ გეხსნებათ. შესაძლოა, ეს იმითაც იყოს გამოწვეული, რომ პოეტი თავის ფანტაზიას უმორჩილებს ერთ მხატვრულ კონცეფციას; გამოხატოს საკუთარი თავი. “მე ჩემს თავს ვეძებ”. ამბობს იგი და მართლაც ყველა ფიქრი მიმართულია საკუთარი თავის გამოსახატავად ანუ მის აღმოსახენად.

“მე ჩემს თავს ვეძებ, სიცოცხლის აზრი ელგარებს ჩემგან გადაშლილ გზებზე გწვდები, მე რაც ვარ, იმ ყოფნის საზრისს გწვდები, მე რაც ვარ, იმ ყოფნის ფესვებს”.

პოეტის “ყოფა” კი ბევრის მომცველია, და საინტერესო, რომ ჯანსუდ კორძაია არ “ განიხილავს” მას აბსტრაქტულად, საკუთარი თავის გამოხატვის გზით მიიკვლევს კითხვების ლაბირინთში გზას. ამ გზით კი განცდა, ფანტაზია, განწყობილება კონკრეტდება, უფრო ხელშესახები და დამაჯერებელი ხდება. ადამიანის ადგილისა და დანიშნულების განსაზღვრის გარდა მისი პოეზიის უმთავრეს საგნად იქცევა საქართველოს ძველი და ახალი სატკივარი. ოდონდ სათქმელი ორივე თემაზე ისე ბუნებრივად ჩაენაცვლება ერთმანეთს, რომ რაიმე

ზღვარის შემჩნევა შეუძლებელიცაა. ადამიანის დანიშნულებასა და ადგილზე ფიქრით დატვირთული კაცი საქართველოს ეკუთვნის, მისი შვილია და იმ “ზოგად?” კითხვებს უერთდება კითხვები სამშობლოზე, საწუხარი, განცდა, ტკივილი, რაც სამშობლოს თემას უკავშირდება, განუყრელია იმ “ზოგადისაგან”.

ჩვენ “ავადმყოფი” (აკაკი წერეთელი) სამშობლოს შვილები ვართ. ბოლო ოთხი საუკუნეა სულ საქართველოს ჭრილობასა, ტკივილსა და სნეულებაზე ლაპარაკობს ქართული პოეზია, ფაქტია, რომ დღეს ჩვენ ამ “ავადმყოფი” ქვეყნის შვილები ვართ, მასზე მოწუხარნი, მისი განკურნების მონაცრულნი, ჩვენი ფიქრი გარს ევლება მის წარსულს, აწმყოს და მომავალს. მოდელი საქართველოს ისტორიასთან და აწმყოსთან დამოკიდებულებებისა საბოლოოდ ჩამოყალიბდა მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში, თუმცა არჩილთან და გურამიშვილთან ძალიან ბევრი ითქვა ამ მიმართულებით. ჩვენ ამ მოდელის ერთგულნი ვართ დღემდე, რადგან დღემდე არ ეშველა შეჭირვებულ საქართველოს.

ჯანსუდ კორდაია ტრადიციის ღირსეული განმგრძელებელია. იშვიათი სიზუსტით გამოხატავს ქართველი კაცის დამოკიდებულებას სინამდვილისადმი პოეტი ამ სტრიქონებში:

“როგორ მიაგნებ შენ თავს, როდესაც მცხეთა, ხერთვისი და თუხარისი არსებობს სადღაც, გარეთ, შენს გარეთ, მართლა გარეთ და მართლა თავისთვის?”

და ეს უცებ დასმული კითხვა “მართლა გარეთ და მართლა თავისთვის?!?” ანათებს იმ დამოკიდებულებას. არ შეიძლება ქართველი კაცისთვის მართლა გარეთ და მართლა თავისთვის არსებობდეს საქართველოს ყველა ტაძარი, ეკლესია, მონასტერი, ბაზილიკა, ციხე-სიმაგრე, ციხე-ქალაქი და უნებურად გრძელობ, რომ თუხარისი, სამთავისიც და ოშეიც შენი სხეულია. და უნდა განისაზღვროს ქართველი კაცის დამოკიდებულება ყოველივე ამასთან, საცნაური უნდა გახდეს დამოკიდებულების მთელი სადუმლო, მთელი ტკივილიანი შევენიერება. რაღაც დიდი, მთელი შედგება საქართველოს მთებსა და ზეგნებზე შეფენილი წარსულის ნიშანსვეტებისა და დღევანდელი ქართველობის ერთობით.

“მე მზის შვილი ვარ და მზის ჩქერალით ვანთებ წარსულის ნანგრევს და დუმილს, და ფრთაასხმული, როგორც მერანი, ჩემსკენ მოცურავს წარსულის სული.”

ჯანსუდ კორდაიას ლექსში არ “გაკრთებიან” წარსულის დიდი ლანდები – ფარნავაზი, გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, დიმიტრი თავდადებული, ცოტნე, თევდორე მღვდელი, გიორგი სააკაძე, ქეთევან დედოფალი, სულხან–საბა ორბელიანი... არც ციხე-ტაძრები: გელათი, იკორთა, გრემი და ა.შ. ყველაფერი ეს პოეტისათვის მთლიანობაა, ცოცხალი, ჩვენგან წარუვალი, დაუნაწევრებელი მთლიანობა, რაზეც ზემოთ ვილაპარაპე... დიდგორი, ბასიანი, მარტვოფი, მარაბდა, კრწანისი... გამარჯვებებისა და დამარცხებების ბედისწერაში პოეტი თავის თავს ეძებს ანუ ეძებს ქართველი კაცის სახეს. ისტორიული ფაქტი, მოვლენა თუ ნიშანსვეტი მას ქართველი კაცის ღირსების ამოსაცხობად აინტერესებს:

“სად ვართ ყველაზე უფრო მაღალი, მცხეთის ჯვარზე თუ ცოტნეს ანისში, თუ იქ, სად ელავს მზის კარნავალი – ქართული ლექსი შოთას შაირში. დიდგორს შემართულ ხმალის გზნებაში, ყინწვისის ფრესკის ნათელ დიმილში, ლურჯა ცხენების გაელვებაში თუ სულხან–საბას სულის ტკივილში, მერნის ფრენაში გზებზე ქარიშხლის, შუმერის მზეში მიგნებულ ფეხვში, ბანას ზარში თუ ველზე კრწანისის, თუ იმ შირაზის ანთებულ ცეცხლში, სად ვარ ყველაზე მეტად მაღალი, სულს უნდა მისი დასტურლამალი, სადა ვარ ყველაზე უფრო მეტად მაღალი?”

ჯანსუდ კორდაია დემეტრე მეორის ურდოში წასვლას საკუთარი თავის მიგნებას უწოდებს და ეს მართლაც ასეა. არსის სიმაღლე თავგანწირვაში

გაცხადდა. საკუთარი თავის მიგნებაა ქეთევან დედოფლის თავგანწირვა და ასევე – არა ერთი მსგავსი მაგალითი საქართველოს ისტორიდან. ახლა უპაშ თანამედროვე ქართველთათვის იქცევა საკუთარი თავის მიგნების სამაგალითო გზად წინაპართა საქმენი.

წარსულის ყოველ ნიშანსვეტთან დამოკიდებულება თავად განსაზღვრა პოეტმა უზუსტესად:

“მოველ, რომ ისევ, ისევ და კვლავაც ვუსმინო შენი ზარების რეკვას, და დავუჩოქო დავითის საფლავს, და ვეთაყვანო: მესიის ფრესკას, ვუცქირო შენს ცას, როგორც მინანქარს, ვით ხატავს შენი მზე მეწამული, და უმძაფრესად, და უმძაფრესად, და უმძაფრესად, ვიგრძნო მამული.”

წრფელია, შეულამაზებელი და ბოლომდე ცხადი პოეტ ჯანსუდ კორძაიას განცდა. რთულია ადამიანი და არც მისი გრძნობების სამყაროა მარტივი, მისთვისაც დიდი და ცად ამაღლებულია ქალის სიყვარული. და ლექსებიდან, თუკი მკითხველი გულისყურით გაეცნობა მას, შემოანათებს მდიდარი სულიერი სამყარო, გატანჯული მარადიული პოეტური კითხებით, პოეტური პასუხებით, დაუმცხოვალი ადამიანური ვნებებით, რომელიც გამოხატულია მძაფრად, რიტმულად, და, რაც მთავარია, პოეტურად.

და კიდევ ერთი მარადიული დინება გასდევს ჯანსუდ კორძაიას ლექსებს – პოეტური სევდა, ადამიანის საშვენი სიმაღლის მიმნიჭებელი სევდა, რომელსაც მშენიერი ლექსები უძღვნა:

“სევდით ავსებულა სივრცე, სევდა გაფენილა ზღვაზე, სევდა მიისწრაფვის ცისკენ, სული სევდითაა სავეს. სული აწეწილა ურვით. და ძრწის მარტოსული ძრწოლით, სევდის მოდერებულ ლულით, სევდის დახანებულ სროლით. სევდით ავსებულა სივრცე, სევდა გაფენილა ზღვაზე, სევდა მიისწრაფვის ცისკენ, სული ნატვრითაა სავსე.”

ნამდვილი პოეტები სანთელივით წვავენ თავიანთ სულს, რათა ადამიანის გზები გაანათონ.

ამ ფიქრებს აღძრავს ჯანსუდ კორძაიას ლექსების ახალი კრებული “აზრის მონოლოგები”, რომელიც თანამედროვე ქართული პოეზიის მაღალი დონის კიდევ ერთი დადასტურებაა.

ჯანსუდ ლვითავია